ლექცია და ვორქშოფი: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“.

2019 წლის 25 იანვარს სტუ-ს ფაბ ლაბში ჩატარდა **ამერიკელი არქიტექტორის, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის არქიტექტურის მაგისტრის კონნორ ბორჰარტის ლექცია თემაზე: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“** . ლექციის შემდეგ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, არქიტექტურული პოეტიკის სტუდიაში ჩატარდა ვორქშოფი.

ლექციაზე განხილული იყო ფენომონოლოგია არქიტექტურაში და დიზაინში, ფილოსოფიის მნიშვნელობა და გავლენა არქიტექტურაზე, როგორც ადგილის შემქმნელი ფენომენი. განხილული იყო ის მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელიც არქიტექტორებს აძლევენ საშუალებას შექმნან დიზაინი და სივრცე პოეტურად. ნაჩვენები იყო თუ როგორ ვლინდება ფენომენოლოგია გამოჩენილი არქიტექტორების სტივენ ჰოლის, პიტერ ცუმტორის, ვანგ შუ და ლუ ვანიუ–ს შემოქმედებაში. ასევე კონორმა სტუდენტებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება.

ლექციაზე განხილული მეთოდით სტუდენტებმა ვორქშოფზე შეექმნეს საკუთარი პროექტი. ვორქშოფის მსვლელობაზე კონორი თვითოეული სტუდენტის ნამუსევარს განიხილავდა ინდივიდუალურად. ვორქშოფი გაგრძელდა ხუთი საათი. მუშაობის დასრულების შემდგმო მოეწყო სტუდენტური ნამუშევრების საჯარო განხილვა და კრიტიკული ანალიზი. კრიტიკას წარმართავდნენ ერთობლივად კონორი და არქიტექტურული პოეტიკის სტუდიის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი.

ვორქშოფში მონწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებმა.

ვორქშოფის ორგანიზატორი: სტუ–ს ფაბ ლაბი. ხელმძღვანელის გიორგი ფრანგიშვილი.

Wolfgang Kerzendorf

nological design methods